ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6083395

ნომერი: AR1911487

თარიღი : 11.07.2022

გაცემის თარიღი : 16.08.2022

გაცნობის თარიღი : 16.08.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლეო ქიაჩელის ქუჩა, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა მაისურაძე პ/ნ 01027005749
- თბილისი ი.მოსაშვილის ქ. N 1 ბ. 80

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 მაისის №5938867 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 11 ივლისს №AR1911487 განცხადებით მომართა ზაზა მაისურაძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 27

მაისის №5938867 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 27 მაისის №5938867 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ლეო ქიაჩელის ქუჩა №15-ში მდებარე №01.15.03.022.082 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 27 მაისიდან 2023 წლის 27 მაისის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2022 წლის 27 მაისის №5938867 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად 1551.9 კვ.მ-ის ნაცვლად 1502.9 კვ.მ-ის, სარდაფის ფართობად 421.1 კვ.მ-ის ნაცვლად 421.3 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 83.3 კვ.მ-ის ნაცვლად 74.1 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 1648.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1482 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 9730.3 კვ.მ-ის ნაცვლად 9506.3 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმაზე ფართობების დაზუსტება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882022175039, მომზადების თარიღი: 18/03/2022 წ.) თანახმად, №01.15.03.022.082 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ქიაჩელი რეზიდენსი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404524742). ამასთან, სამსახურის 2022 წლის 27 მაისის №5938867 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია შპს ქიაჩელი რეზიდენსი. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: B21081954, მომზადების თარიღი: 12/08/2021 წ.) შესაბამისად, შპს ქიაჩელი რეზიდენსის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ტარიელ შავერდაშვილი. წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი 2019 წლის 29 ოქტომბრის №191318195 მინდობილობით დგინდება განმცხადებლის - ზაზა მაისურაძის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 მაისის №5938867 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 მაისის №5938867 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობად დაფიქსირდეს 9506.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 1502.9 კვ.მ., სარდაფის ფართობად 421.3 კვ.მ., დამხმარე ფართობად 74.1 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 1482 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 მაისის №5938867 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა სახურავის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე გეგმებით.
3.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 მაისის №5938867 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 მაისის №5938867 ბრძანებასთან ერთად.
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.